




საღა ულოცავს ქართველ ხალხს ახალ 1990 წელს
და უსურავს ახალ გაგარჯულებას!

ტალინური შთაბეჭდილებები

1989 წლის 18-19 დეკემბერს ესტონეთში ქ. ტალინში გაიმართა საბჭოთა იმპერიის თავისუფალ ჟურნალისტთა გაერთიანებული პროფკავშირის მეორე ყრილობა, რომელზეც მიწვეული ვიყავით საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის გაზეთ "დროების" რედაქტორი კ. ჩოგვაძე და რედაქციის წევრი გ. თვალავაძე. საქართველოდან იმყოფებოდნენ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, დემოკრატიული პარტიის და ეროვნული სამართლიანობის პარტიის წარმომადგენლები. ასევე საქართველოს ინფორმაციის დამოუკიდებელი სააგენტოს "მაცნეს" პოლიტიკური დირექტორი ვ. ბახტაძე, თანამშრომლები მ. კობაძე და გ. ხოხაშვილი.

ჩვენთვის მისაღები არ აღმოჩნდა ამ პროფკავშირში შესვლა, რადგან პოლიტიკურად გაუმართლებლად მიგვაჩნია ახალ საკავშირო ორგანიზაციაში გაერთიანება. მიუხედავად ამისა, ტალინში ვიზიტი მაინც სასარგებლო იყო, რადგან ახლო ურთიერთობა დავამყარეთ იმპერიის არსებულ მრავალ პროგრესულ პარტიებთან, ორგანიზაციებთან და თავისუფალი პრესის წარმომადგენლებთან. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ესტონეთის ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ქ. ტალინის ორგანიზაციების გაერთიანებულ შეკრებაზე სტუმრობა, რომელიც პოლიტიკური ინსტიტუტში გაიმართა. ეს იყო გულისხმიერების, პატივისცემისა და ძმობის გამოხატულება არა მარტო ჩვენსა და ჩვენი პარტიის მიმართ, არამედ მთელი ქართველი ხალხის მიმართ, რაც ესტონელი და ქართველი ხალხის საერთო მტერთან ბრძოლის სოლიდარობაზე დაფუძნებული. გაიმართა აზრთა გაზიარება. იყო საინტერესო შეკითხვები და პასუხები ორივე მხრიდან. კითხვაზე, თუ როლის ფიქრობთ ნანატრი თავისუფლების დადგომას, ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ერი, რომელიც მონობას არ შეგუებულია და იბრძვის დამოუკიდებლობისათვის, თავს უნდა გრძნობდეს განთავისუფლებულად, რადგან ბრძოლი ერი ვერ ჩაითვლება დაპყრობილად და დამორჩილებულად.

ჩვენ და ესტონელმა მეგობრებმა ერთმანეთს გავუზიარეთ ექვს-ს და სექს-ს ბრძოლის ტაქტიკისა და სტრატეგიის საკითხები, პროგრამული დოკუმენტაცია და მიუხედავად მათში გარკვეული განსხვავებებისა, მივიღეთ დასკვნამდე, რომ შეგვიძლია მჭიდრო კონტაქტი ვიქონიოთ ერთმანეთთან, გავუზიაროთ საბჭოთა იმპერიასთან ბრძოლის გამოცდილება და ყველანაირ ასპექტში ვითანამშრომლოთ.

ტალინში ყოფნისას დავრწმუნდით, რომ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია საბჭოთა იმპერიის ფარგლებში ფართოდ არის ცნობილი. მის ბრძოლასა და მოღვაწეობას გარკვეულ ყურადღებას აქცევს მსოფლიო საზოგადოებრიობა და საინფორმაციო საშუალებები. თუმცა უნდა ითქვას, რომ ჩვენი თვითმიზანი არ არის ევროპისა და მთელი მსოფლიოს თვალში პოპულარობის მოხვედრის მიზნით რეკლამის გაკეთება და პოპირობა. ჩვენ ვიბრძვით ქართველი ერის თავისუფლებისა და მისი ინტერესების ყველაფერს, ყოველთვის და ყოველგვარი დაცვისათვის. ჩვენი ბრძოლის მეთოდები, შესაძლოა ევროპელი მეფალყურისათვის მიუღებელი და უცნაური ჩანდეს, მაგრამ ბევრფასო თანამემამულეთა თქვენ კარგად იცით დღევანდელი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მდგომარეობა საქართველოში. ჩვენ გვაქვს მხედველობაში განუწყვეტელი ეთნოკრიზისები,

რომელსაც კრები ასე ოსტატურად ახვევს ქართველ ხალხს თავზე. ეროვნული მოძრაობა ღრმად განმავლობაში ბრძნულ ხერხებს მიმართავს თავის ბრძოლაში, იგი ძლიერდება და ერის სანუკვარ მიზანს - სამშობლოს და მოუკიდებლობის აღდგენას მალე მიაღწევს. ნათელი უნდა იყოს ყველასათვის, რომ ბრალდება ზოგიერთი ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციებისა სექს-ს, წმ. ილია მართლის საზოგადოების, პელსინკის კავშირისადმი "ვოლფდამში" და "ნეოზოლმევიზმი" მსუბუქად რომ შეგავასოთ არაზნეობრივი და სამარცხვინო საქციელია. მომავალი განსჯის, ვინ მართალია და ვინ მტყუანი.

კ. ჩოგვაძე /სივს/

გ. თვალავაძე /სივს/



ქართულთა მიზანი

საქართველოს ყველა შესაძლებლობა აქვს იყოს დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფო. მას არც ტერიტორია აკლია და არც მოსახლეობა. ბუნების მიერაც უხვად არის მომარაგებული სასარგებლო წიაღისეულებით, რომლის მრავალფეროვნების გათვალისწინებით მას მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია. მსოფლიოს არც ერთ სახელმწიფოში არ არის ერთბაშად წარმოდგენილი ზღვა, სუბტროპიკები, ალპური ზონები, მიუვალი ყინულოვანი მასივები და ურთულესი კატიგორიის მწვერვალები, კარსტული მღვიმეები და მიწის ქვეშა უფსკრულები, თერმული წყლები და უდაბნოები. ასეთია მხოლოდ საქართველო, უძველესი და უაღრესი ტურესი ქვეყანა, რომლის ტერიტორიაზე ბარბაროსული განადგურების მიუხედავად მრავლად არის შემორჩენილი მსოფლიო მნიშვნელობის კულტურის ძეგლები.

საქართველოს მტრები, მისი დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგეები, მერყევიანი, მშობრები და ნიპილისტები, რუსი და სხვა ჯურის შოვინისტები გაჰკიცვიან-საქართველო პატარაა და რუსეთის გარეშე დამოუკიდებლად ვერ იარსებებსო. ასეა ეს? გადავხედოთ მსოფლიოს პოლიტიკურ რუქას. მასზე ჯერ-ჯერობით არ არის აღნიშნული თავისუფალი საქართველო (ტერიტორია 70 ათასი კმ² მოსახლეობა 5,5 მილიონი, აქედან 4 მილიონი ქართველია. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ერთა ლიგაში დამოუკიდებელი საქართველოს მიღების საკითხი წყდებოდა, მისი ტერიტორია 93 ათასი კმ² იყო წარმოდგენილი. ფაქტია, რომ 23 ათასი კმ² გასაბჭოების შემდეგ დაკარგა და ისტორიული სამართლიანობის აღდგენის შემდეგ ეს ფართობი შესაძლოა ნაწილობრივ მაინც უკან დაიბრუნოს) ვიმეორებთ, მსოფლიო პოლიტიკურ რუქაზე თავისუფალი საქართველო ჯერ-ჯერობით აღნიშნული არ არის, სამაგიეროდ აღნიშნულია მასზე ბევრად პატარა ქვეყნები. დავიწყეთ ევროპით: ალბანეთი (28,7 ათასი კმ², მოსახლეობა 2,5 მილიონი), დანია (45 ათასი კმ², მოსახლეობა 5 მილიონი), ბელგია (30,5-9,6), ნიდერლანდები (41-13,3), შვეიცარია (41-6,3), რომ არაფერი ვთქვათ ანდორაზე (10,5 კმ² 20 ათასი კაცი), ლიხტენშტეინზე (0,2-22 ათასი კაცი), ლუქსემბურგზე (2,6-340 ათასი კაცი), მალტაზე (0,3-330 ათასი კაცი), მონაკოზე, სან-მარინოზე და ა.შ. ზუსტად საქართველოს ხელა ირლანდია (70 ათასი კმ², მოსახლეობა 3 მილიონი) საქართველოზე ოდნავ დიდია ავსტრია (83 ათასი კმ²), უნგრეთი (93 ათასი კმ²), პორტუგალია (92 ათასი კმ²) და ა.შ.

ფაქტურად ევროპის ქვეყნების უდიდესი ნაწილი, არც ტერიტორიულად და არც მოსახლეობის ოდენობით არ განირჩევა საქართველოს ანალოგიური მაჩვენებლებისგან და შეიძლება ქვეყნების ერთ ჯგუფში განვიხილოთ. ასეა მთელ მსოფლიოში. თუნდაც აფრიკაში. აქ საქართველოზე პატარა ტერიტორიები აქვთ ბურუნდის, გვინეა-ბისაუს, ჯიბუტის, ლესოტოს სამეფოს, მწვანე კონცხის კუნძულებს, რეიუნონს, რუანდას, ტოგოს, ეკვატორულ გვინეას, სეიშელის კუნძულებს, კომორის კუნძულებს, სან-ტომე და პრინციპეს, სვაზილენდის სამეფოს, ზამბიას, მავრიკიას და სხვა. დაახლოებით საქართველოს ხელა ან ოდნავ მეტი ტერიტორია აქვთ სიერა-ლეონეს, ბენინს, ლიბერიას, მალავის და ა.შ. ახლა გადავხედოთ ამერიკის კონტინენტებს. დამოუკიდებელი სახელმწიფოებია და საქართველოზე ბევრად პატარა ტერიტორიები აქვთ ბაჰამის, ბერმუდისა და ვირჯინიის კუნძულ სახელმწიფოებს, პაიტს, გრენადას, კოსტა-რიკას, ღმინიკანურ რესპუბლიკას, სალვადორს, ტრინიდად და ტობაგოს, იამაიკას და სხვებს. დაახლოებით საქართველოს ხელა ან ოდნავ მეტიაპანამა და კუბა. იგივე ვითა-

/ დასასრული /

რეზიდა აზიში: ბახრეინი, ზუბანი, კატარი, კვიპროსი, ისრაელი, კუვეიტი, ლივანი, შრი-ლანკა. საქართველოზე პატარა ქვეყნებია, გაერთიანებულ ერებში კი თავიანთი წარმომადგენელი ჰყავთ და თავისუფალ ერთა ფერხულში არიან ჩაბმულნი.

ოკეანიაში უამრავი პატარა, დამოუკიდებელი სახელმწიფოებია. დავასა-ხელებზე მხოლოდ ვანუატუს, ნაურუს, კირიბატის, სოლომონის კუნძულებს, ფიჯის. დასკვნა მკითხველისათვის მიმინდია, ჩემის მხრივ კი დავძენ, რომ ტვინ-ნაღრმობი უნდა იყოს ან გამყიდველთა მსახური რომ ენა შემოგებრუნდეს და თქვა: ღვთისმშობლის წილხვედრილი ქვეყანა, ჩვენი საყვარელი ივერია ტერიტო-რიულად ძალიან პატარაა და დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლია.

გურამ სიხარულიძე

ვიმონ გვერდობა თუ რძედი ?

ქართველი საზოგადოება დიდ დაინტერესებას იჩენს მეზობელი თურქეთის მიმართ და ეს ბუნებრივიც არის, რადგან დამოუკიდებელი საქართველოს შექმნი-სთანავე ჩვენ უნდა გვივლიდეთ თუ როგორ მეზობელთან გვაქვს საქმე.

თანამედროვე თუქქეთი მაღალგანვითარებული დემოკრატიული ქვეყანაა, რომლის მომავალს ხელისუფლება სამუდამოდ უკავშირებს დასავლეთს.

საიდან ემუქრება საფრთხე თურქეთის დემოკრატია?

ამაზე პასუხს გვაძლევს თურქული გაზეთი "მილიეთი" რომელმაც შარშან გამოაქვეყნა რუსეთთან მომავალი ომის სცენარი, საიდანაც ირკვევა, რომ თუ-რქეთისათვის ნომერ პირველი საფრთხეა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯა-რები. მისი 20 დივიზია (უდიდესი ნაწილი საქართველოშია განლაგებული) ომის დაწყების შემთხვევაში აღმოსავლეთ ანატოლიის სასწრაფო ანექსიას მოახდენს. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, სანამ ამიერკავკასიიდან და კერძოდ საქართვე-ლოდან თურქეთი რუსული კომუნიზმის მუქარას ხედავს, იგი ჯეროვან ყურადღე-ბას უთმობს და მომავალშიც დაუთმობს საკუთარ შეიარაღებულ ძალებს.

ამჟამად თურქეთის არმია ნატოში შემავალი ქვეყნებიდან რაოდენობრივად მე-2 ადრია აშშ-ს შემდეგ. მასში 542 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი მსა-ხურობს (18 დივიზია). მის განკარგულებაშია 3700 ტანკი. მისი ტერიტორიაზე 60-მდე ამერიკული ბაზაა, მათ შორის 7 უდიდესი ბაზაა. ამ ბაზებზე 5 ათა-სამდე ამერიკელი სამხედრო მომსახურე იმყოფება. თურქეთის განკარგულებაშია "ავაქსისი" ტიპის სადაზვერვო თვითმფრინავები, საერთოდ კი საპაერო ძალები 580 თვითმფრინავია (18 ეკადრლია).

თურქეთის სამხედრო-საზღვაო ძალების 200-მდე ხომალდსა და კარგაპზე 49 ათასი მეზღვაური მსახურობს. სააღმრისაოს განკარგულებაშია 17 დიზელის ძრავიანი წყალქვეშა ნავი.

თურქეთის ყველა სახეობის ჯარების მთავარი ამოცანაა ომის შემთხვევაში მარმარილოს, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების საზღვაო და საჰაერო კა-რიბჭეების კონტროლი, შეაკავოს ანალოგიური საბჭოთა ძალები და ხელი შეუ-წყოს ნატოელ მოკავშირეებს.

ზოგიერთი ქართველი ურწმუნო თომები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის შემთხვევაში თურქეთი თავს დაესხმის საქართველოს. ჯერ ერთი "თომებს" ავიწყდებათ, რომ თურქეთი თავად იქნება დაინტერესებული, რომ ჩრდილო საზღვარი ჰქონდეს, არა საბჭოთა იმპერიასთან და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებთან, არამედ ნეიტრალურ და დემო-კრატიულ საქართველოსთან. მეორეც, თუ ჩვენ თურქეთის სამარსო პოლიტიკის ზომიერ ასპექტს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მასში პოზიტიური პროცესები სჭარბობს. თურქეთი მიესადაგება განიარაღების პროცესს. იგი ისწრაფავს რე-გიონალური კონფლიქტების მოწესრიგებისათვის. მას მტკიცე ნეიტრალიტეტი ეკავა ირან-ერაყის ომში. მხარს არ დაუჭირა ამერიკის სამხედრო აქციებს სპარსეთის ყურეში, ლიბანში და ლიბიაში. იგი მოითხოვს ახლო აღმოსავლეთის კრიზისის სამშვიდობო კონფერენციის გზით გადაწყვეტას. აღიარებს პალესტინის განთავი-სუფლების ორგანიზაციას, სტამბოლში გახსნილია მათი წარმომადგენლობა, ამავე დროს დიპლომატიური ურთიერთობა აქვს ისრაელთანაც. თურქეთი მიესალმე-ბა ნამიბიის განთავისუფლებას, სიკხი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიული ავღანეთისა და კამბოჯის შექმნას, მხარს უჭერს კონტრადორის ჯგუფის პროცესს და გვატემალას სამშვიდობო გეგმას. ამ ჭონზე თურქეთი თავისთავის მტერი უნდა იყოს, რომ დემოკრატიულ საქართველოს დაესხას თავს.

პირიქით, იგი სისხლხორცეულად არის დაინტერესებული თავისუფალი საქართვე-ლოს არსებობით. გავიხსენოთ ისტორიის ორი ფურცელი: პირველი მსოფლიო ომის დროს ოსმალეთი ცდილობდა რუსეთთან მოსაზღვრე დამოუკიდებელი საქართველოს შექმნას. ამ მიზნით დაარსეს საქართველოს განთავისუფლების კომიტე-ტი, რომელშიც გადამწყვეტ როლს ქართველები ასრულებდნენ. კომიტეტის ერთ-ერთ პროკლამაციაში, რომელიც აჭარის სახელმწიფო არქივშია დაცული გვითხუ-ლობს: "ოსმალეთის ინტერესები მოითხოვს, რომ ივერია იყოს დამოუკიდებელი, ამიტომ ვალდებული ვართ ოსმალეთთან ვიქონიოთ მეგობრობა და დავივიწყოთ ძველი მტრობა. ჩვენ თვითონ იმერეთის და ამერეთის ლაზ-ჭანების ბატონ-პა-ტრონი უნდა გავხედოთ. ყველა ქართველმა-თმეს ხელი! გეყუთ მომენა და მონობა". 1921 წლის იანვარში კი უკვე დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პერიო-დში გაზეთი "ისტამბული" აღნიშნავდა: "საქართველოს შინაგანი სიმტკიცე, მისი მთავრობის პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა და აღიზნებარეობა ხელს უწყობს იმას, რომ საქართველო მედგრად იცავს თავის დამოუკიდებლობას" სა-მწუხაროდ საქართველომ ვერ დაიკვა თავი, ერთი თვის შემდეგ ზეგავივთ მოვა-რდნილმა ბოლშევიკურმა ზეგონმა, წააღეს მისი დამოუკიდებლობა.

და კიდევ ერთი: ჩვენ ვერ დავხუჭავთ თვალებს იმ ფაქტებზე, რომ თურქეთმა ერთ-ერთმა პირველმა ცნო დამოუკიდებელი საქართველო და ბათუმში დღემდე არ დახურა თავისი საკონსულო. ხოლო საქართველო-თურქეთის ომი 1918-20 წლებში

ბოლშევიკური ხრიკების შედეგი იყო, ბოლშევიკური რუსეთის და თურქეთის გა-რიგების შემდეგ საქართველომ ბათუმის ოლქში 13 ათასამდე კმ² დაკარგა, 170 ათასი მცხოვრებით. ახლანდელ ვითარებაში მას ვერასოდეს დავიბრუნებთ. მხო-ლოდ დამოუკიდებელ საქართველოს ძალუძს თურქეთის ხელისუფლებასთან პირადი მოლაპარაკების შედეგად იქონიოს იმედი ამ ტერიტორიებზე.

ვითომ გვემუქრება თურქეთი?

რა თქმა უნდა არა, ბოლოს და ბოლოს მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია?

გურამ სიხარულიძე

ჩეხოსლოვაკია

კომუნისტური რეჟიმის 42-წლიანი დიქტატურის შემდეგ, ამა წლის ნოემბერში, სულ რაღაც რამდენიმე დღის განმავლობაში ჩეხოსლოვაკიაში კომპარტიამ დასთმოთ თავისი კონსტიტუცია

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ პრეზიდი I7 ნოემბერს სასტიკად იქნა დარბეული სტუდენტთა მშვიდობიანი დემონსტრაციის. რის შემდეგაც მთელს ქვე-ყანას მოედო მანიფესტაციების, დემონსტრაციების და გაფიცვების ტალღა. მი-ტინგებზე ხალხმა წამოაყენა ლოზუნგები: "ძირს კომუნისტური პარტია", "მო-ვითხოვთ სიმაღლეს 1968 წელზე", "ძირს ერთპარტიული სისტემა", "მთავრობა გადადგეს".

შემდგომ პოზიტიური მოვლენები ელვისებური სისწრაფით განვითარდა, უმა-ღლესმა ხელისუფლებამ-ფედერალურმა კრებამ /რომლის შემადგენლობა მთლიანად შეიცვალა/ დაამტკიცა კანონი ჩეხოსლოვაკიის კონსტიტუციაში ცვლილებების შე-სახეზე. გაუქმდა მე-4 მუხლი კომპარტიის წარმართველი როლის შესახებ, შეი-ცვალა მე-6 მუხლი ეროვნული დრონტის შესახებ, სადაც რესპუბლიკის კომპარტია სხვა პარტიებთან ერთად შევიდა თანაბარი უფლებებით. ამიერიდან მე-16 მუ-ხლი აცხადებს, რომ სახელმწიფოს მთელი კულტურული პოლიტიკა აშენდება მეცნი-ერული პატრიოტიზმის, პუბლიზმის და დემოკრატიის გათვალისწინებით. სტუდენ-ტების უმაღლეს სასწავლებლებში აღარ ისწავლიან მეცნიერულ კომუნიზმს. სა-მაგიეროდ სასწავლო პროგრამაში გამოჩნდა ახალი საგანი-პოლიტოლოგია, 2 ია-ნვრიდან სამხედრო სამსახური 24 თვიდან შემცირდება 18 თვემდე, ამავე დღიდან ლეგიონერულ იქნება კომპარტიის ორგანიზაციები არმიაში, 90-ათასით შემცი-რდება თადარიგის სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვი. ევროპაში ნდობისა და სტაბილურობის გასაძლიერებლად არმიის ხელმძღვანელობა მთავრობაში შევიდა წინადადებით ჩეხოსლოვაკია- ავსტრიის და ჩეხოსლოვაკია-გფრ-ს საზღვრების დე-მონტაჟის შესახებ, ეროვნულ თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ მომავალი წლიდან აღარ გაიმართება სამხედრო აღლუმები. შეჩერდა ჯულის ახალი 10 კრო-ნიანი კუპონის ბეჭდვა, რომელზეც გამოსახულია კ.გოტვალდი, პირველად გამო-ვიდა საფოსტო მარკა რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ტ.მასარიკის გამო-სახულებით, პრეზიდი ვაქლავის მოედანზე, ახალგაზრდებმა ერთ-ერთი შენობიდან ჩამოხსნეს ლოზუნგი "მარად საბჭოთა კავშირთან", ხალხი მოითხოვს სახელმწი-ფო გერბიდან მოიხსნას ხუთქიმიანი ვარსკვლავი და მის ადგილას დააბრუნონ გვირგვინი.

ფედერალურმა კრებამ დაგმო ვარშავის ხელშეკრულების ხუთი ქვეყნის მიერ 1968 წლის ჩეხოსლოვაკიის ეროვნული აჯანყების სისხლში ჩახშობა, როდესაც ჯარისკაცები ხიშტებზე აგებდნენ ქალებსა და ბავშვებს, ხოლო ტანკები ქუჩებში დასახლად დასდევდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. საგარეო საქმეთა მინისტრმა ი.დინსტხიმა განაცხადა, რომ იგი მთლიანად რეაბილიტირებულად თვლის პოლიტი-



კური სამსახურის იმ მუშაკებს, რომლებიც უკანონოდ იყვნენ რეპრესირებულნი. 1968 წელს და იწვევს მათ ძველ სამსახურებში.

გამოქვეყნდა ინფორმაციები იმის შესახებ თუ 1968 წლის გაზაფხულზე ჩეხე-ბმა და სლოვაკებმა რამდენი თანხები გაიღეს აჯანყებულთა დასახმარებლად, მათი ანგარიშები დღემდე ინახება ბანკებსა და ფინანსთა სამინისტროში.

ოპოზიციის მოთხოვნით გადაღა სახელმწიფოს მეთაური გუსტავ გუსაკი, /გადაღა აგრეთვე პრემიერი ლ.აღამეცი/ ექსპრეს გამოკითხვის შედეგად გაი-რკვა, რომ პრეზიდენტის პირდაპირ არჩევნებს მხარს უჭერს ქვეყნის მოსახლე-ობის 80%, მხოლოდ 20% ითხოვს იმას, რომ პრეზიდენტი აირჩიოს ფედერალურმა კავშირმა, როგორც ეს სწერია კონსტიტუციაში.

ქვეყნის მთავარი პოლიტიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, მრავალ მაგიდასთან შეხვედრისას გადაწყვიტეს, რომ ქვეყნის პრეზიდენტი უნდა იყოს უპარტიო და ამასთანავე ეროვნებით ჩეხი, რადგან მთავრობის თავმჯდომარე

სლოვაკია. ამრიგად, ქვეყნის პრეზიდენტობის კანდიდატა რიგები თხიდან ორ-მდე შემცირდა, ვინაიდან ადამიკი-კომპარტიას წარმომადგენს, ხოლო ლუბჩიკი-სლოვაკია. დარჩა ორი კანდიდატი: "ქარტა-77"-ის ლიდერი, მწერალი და ყოფილი დისიდენტი ვ.გაველი, რომელიც წარადგინა "სახალხო ფორუმი" და ჩეხოსლოვაკიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდენტის წევრი 1968 წლამდე, ამჟამად კი უპარტიო ჩ.ივსარჟი, რომლის კანდიდატურა წამოაყენა ახალგაზრდა სოციალისტთა კავშირმა.

ახლა, ქვეყანაში შექმნილი კოალიციური მთავრობა, ახალ კაბინეტში 22 მინისტრიდან მხოლოდ შვილია კომუნისტი. გაუქმდა უშიშროების კომიტეტი, კომუნისტები სპობენ მაკომპრომენტირებელ ლუკმენტებს. ქვეყნის მართვის სადა-ვეებს ნელ-ნელა ხელში იღებენ 1968 წლის ეროვნულ აჯანყების მონაწილეები.

ივლილებების მთავარ მაკონტროლებელ ძალად იქცა "სახალხო ფორუმი", ეს მოძრაობა დღეს ყველაზე ძალზედ ძლიერი და პოპულარულია. გამოკითხვისას გაირკვა, რომ მას მხარს უჭერს მოსახლეობის 78 %.

ჩეხმა და სლოვაკმა ხალხმა შესძლო უსისხლოდ მიეღწია დიდი გამარჯვები-სათვის. 1989 წლის 24 ნოემბერს ჩეხოსლოვაკიის ქუჩებში გამოეფინა მისი მთე-ლი მოსახლეობა, დიდძალი ხალხი დაიძრა პრატისკენ, სადაც ლატინსკის მოედანზე გაიმართა სახალხო ზეიმი. სოციალისტური სამყაროს პრაქტიკული რღვევა წარმატებით გრძელდება, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ელუარდ შევარდნაძემ ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრისას განა-იხადა, რომ 1990 წლიდან დაიწყება საბჭოთა ჯარების გამოყვანა ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიიდან. სისხლიანი ტირანია იძულებულია უკან დაიხიოს, ჩეხოსლოვაკია თავს აღწევს კომუნისტური დიქტატურის კლანჭებს.

რედ: დღეს მ. გამელი ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი
გახდა

ვაჟა ქუნთელი /სელა/

ინფორმაცია

3 0 0 0 0 0 0

თხზავთ, 6 დეკემბერს კრაკოვის ნოვა-გუტას მუშათა რაიონში აღტერნა-ტიული საზოგადოებრივი მოძრაობისა და მეზობელი ახალგაზრდობის ფედერაციის წარმომადგენლებმა მოთხოვეს კაპობრიობის უზოროტესი მტრის ვ.ი.ლენინის ძეგლის მოხსნა. მათ გამოტანა იქნა პქონდათ ღოზნებები: "ძირს კომუნა", "საბჭოებო, წადირიე შინ!" მომიტინგეებს წინ აღუდგნენ მილიციის ქვედა-ნაყოფები, რომლებმაც მათ გასაფანტად გამოიყენეს წყალმფრქვევები და ცრემ-ლსალენი გაზები. უკანდახეულებმა განაცხადეს, რომ ხელისუფლებას აძლევენ ერთი კვირის ვადას ძეგლის მოსახსნელად. ოფიციალური იძულებული გახდა წასუ-ლიყო ღამობაზე- "პროლეტარიატის დიადი ბედლის" ძეგლი მოხსნა იქნა.

ლატვიის სახალხო ფრონტის ღია წერილი რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი.

ამა წლის შემოღობაზე ჩვენს რესპუბლიკაში გახშირდა წვევამდელების მიერ საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამსახურზე თავის არიდების ფაქტები. რომლებიც ნაკარნახებია რელიგიური, პოლიტიკური მოტივებით და აგრეთვე იმ მიზნით, რომ შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობას არ ძალუძს აღკვეთოს არაკანონიერი ქმედებანი რომლებსაც მოსდევს მძიმე შედეგები-ფიზიკური და ფსიქიური ტრამეები და ადამიანთა მსხვერპლი.

განვსაზღვრავთ რა, რომ ახალი გაწვევისას ეს ტენდენცია უფრო გაძლიე-რდება და მრავალი წვევამდელი კონფლიქტში შევლენ კანონთან, ლატვიის სახალხო ფრონტის გამგეობა პუმანურ იღებებიდან გამომდინარე მოუწოდებს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შეაჩეროს სამეშოლო გამოწვევა და დაამტკიცოს ლატვიის ქალა ღივის მიერ შემუშავებული კანონპროექტი აღტერნატიული სამსახურის შესახებ.

ჩვენ ვთვლით, რომ იმ შემთხვევაში თუ არ იქნება მიღებული გადაწყვე-ტილება სამეშოლო გამოწვევის შეჩერების შესახებ და დავიანდება კანონ-პროექტის მიღება შესაძლებელია დაიწყოს სტიქიური აქციები ეროვნული დაუმო-რჩილებლობის რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს ადამიანთა მსხვერპლი.

ოქტომბრის შუა რიცხვებში ლატვიის ოკუპირებულ რესპუბლიკაში მცხოვრებმა თხუთმეტმა ადამიანმა მიიღო ლატვიის დამოუკიდებელი რესპუბლიკის მოქალაქის პასპორტები. ამ ღონისძიების მიზანს წარმოადგენს ყურადღების აქცენტირება იმ ფაქტზე, რომ ლატვიელი ხალხი არ სცნობს საოკუპაციო ხელისუფლებას.

პასპორტების დამზადება-გაცემა და პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო ლატვიის დემოკრატების პარტიამ, თავიანთი დიპლომატიური წარმომადგენლების, საზღვარგარეთ მყოფი "თავისუფალი ლატვის" ორგანიზაციის დახმარებით.

სტოკჰოლმში პრესკონფერენციაზე უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ.ხორნა განაცხადა, რომ უნგრეთი იმედოვნებს გახდეს ნეიტრალური ქვეყანა.

8 ოქტომბერს ტაშკენტთან ახლოს ქალაქ ჩირჩიკში 500 კაცი გამოვიდა მიტინგზე მოთხოვნით-რათა გადაეცათ სისხლის სამართალში ის პირები რომელ-ბმაც გასცეს ბრძანება რათა შინაგან საქმეთა ორგანოებს I ოქტომბერს ტა-შკენტში გამოეყვინებინათ ძალა მშვიდობიანი მიტინგის დასაშლელად. რომელზეც ნაიკემი იქნა ორმოცე მეტი კაცი, ხოლო დაკავებული 28, რომელთა უმეტესობას შემდგომ მიაყენეს ფიზიკურ შეურაცყოფა.

მოსკოვი. 298799 ხელმოწერა იქნა შეგროვებული და გაგზავნილი 5 ოქტო-მბერს ფსიქიატრთა მსოფლიო ასო-ციაციის კონგრესზე ათენში. კერძოდ, მასში ნათქვამია: "ჩვენ საბჭოთა მოქალაქეები, ვისთვისაც ძვირფასია ადამიანთა სიცოცხლე, ვისთვისაც სულელო არ არის ყოველგვარი ძალის ბოროტად გამო-ყენება ხელისუფლება მხრიდან, მოგმართავთ თხოვნით არ მიიღოთ /უფრო სწორად არ დაბრუნოთ-რედ./ საბჭოთა ფსიქიატრები თქვენს პუმანურ ორგანიზაციაში, რამეთუ საბჭოთა ექიმი-ფსიქიატრები სახელს შეურაცხვენენ და დისკრედიტაციას გაუწივენ თქვენს ორგანიზაციას. საბჭოთა ფსიქიატრია გადაიქცა სხვაგვარ-რად მოაზროვნე და უარისმეტყელად /ოტაზნიკები / დამცირების ორგანოდ, რომელიც ასრულებს სუკ-ის არაკანონიერ მიზნებს".


I0 ოქტომბერს სამხედრო ავტოკოლონამ ქალაქ სტეფანაკერტის ცენტრში ცეცხ-ლი გაუხსნა ადგილობრივ მოსახლეობას. 8 ადამიანი დაიჭრა, ხოლო 39 წლის სპარტაკ აკოფიანი მიღებული ჭრილობის შემდეგ გარდაიცვალა ქალაქის საავა-დმყოფოში.

I2 ოქტომბერს ადგილობრივი ტელევიზიით მომხდარი ინციდენტის განსამარტა-ვად გამოვიდნენ საგანგებო რაიონის კომენდანტი გენერალ-მაიორი საფროვი და შინაგან საქმეთა სამინისტროს უფროსი პოლკოვნიკი თუმანიანი. გენერალ-მაიორმა განაცხადა: "სევერლოვსკის სახანძრო-ტექნიკური სასწავლებლის კუ-რსანტებმა მოედანზე შექმნილი მდგომარეობა შეაფასეს როგორც მათდამი სახი-ფათო, იმდენად რამდენადაც სტეპანაკერტელები კურსანტებს ესროდნენ ქვებს. არავითარ წინასწარ გაზიზნულ პროვოკაციას ადგილიარ უქმნია". პოლკოვნიკ თუმანიანის თქმით ყარაბახის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები არ იყვნენ ინფორმირებული იმის შესახებ, რომ ქალაქში უნდა გაეფლ სამხედრო კოლონას. შემდეგ მან განაცხადა, რომ მოსახლეობას ესროდა 22 კურსანტი და 3 ოფიცერი. 500 ტყვია გასროლილ იქნა ავტომატიდან და 28 პისტოლეტიდან.

I3 ოქტომბერს სტეპანაკერტში გაიმართა მიტინგი რომელსაც დაესწრო ქა-ლაქის მთელი მოსახლეობა. არცაბის მოქალაქეებმა ბოლო გზაზე გააიღეს სპარტაკ აკოფიანი. I3 ოქტომბერი ყარაბახში გამოცხადებული იყო გლოვის დღედ.

30 სექტემბერს ხერსონში საავტომობილო კატასტროფის შედეგად დაიღუპა ყირიმელი თათრების ეროვნული მოძრაობის ორი აქტივისტი ენვერ საფიროვი და შაბან პლანტიევი. ენვერ საფიროვი იყო ერთ-ერთი პირველი წიგრი ეროვნული მოძრაობისა და რეპრესირებული იყო ხრუშოვის დროს. 1961 წელს ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდის ბრალდებით იგი დაკავებულ იქნა ქალაქ ჩირჩიკში სადაც აშხალებდა და ავრცელებდა პროკლამაციებს ყირიმელი თათრების სამშო-ბლოში დაბრუნების და სახელმწიფოებრიობის აღდგენის მოთხოვნით. რისთვისაც, მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლით.

მანტანას, რომელშიც ისხდნენ ენვერ საფიროვი და შაბან პლანტიევი და-ეჯახა სატვირთო ავტომობილი.



ვლადი-
მერ
სიხა-
რულია

საქართველოს ეროვნულ მოძრაობას და თანამედროვე ქართულ მწერლობას მოულოდნელად გამოაქცია შინაპირი-ვი მარულიშვილი და უანგარო მსახური ვლადიმერ /ვოვა/ სიხარულიძე. იგი იყო მკვიდრ გასაბჭოებისა და მერაბ კოსტავას იმ პერიოდული ჯგუფის წევრი, რომელიც ჩამოყალიბდა ეროვნული მოძრაობა პირველმა გასაბჭოება საქართველოში. გაჭომა ვლადიმერმა პატრიოტული მოღვაწეობისათვის პო-ლიკური პატივების ზედიზე იშვინა. ამ ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად დააპატიმრეს 1950 წლის დეკემბერში და მიუსაჯეს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეუძლებს პირობითი სასჯელით. სულიერად არაერთს გაუჭვინა ბატონი ვლადიმერი, საქართველოს დამოუკიდებლობაზე მეტად კაცს გულმა უტყუანა. იგი მუდამ იცოცხლებს ჩემობისა და აზოზილების გულში. მისი სახელი კი სამუდამოდ ჩაიწერა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა სიაში.




ზურაბ
ჭავჭა-
ვაძის
ხსოვ-
ნას

ზურაბ ჭავჭავაძის ტრაგიკული სიკვდილით საქართველოს ეროვნულ-მა მოძრაობამ დიდი დანაკლისი გა-ნიცადა.

ზურაბ ჭავჭავაძე იყო დიდად ერუდირებული და მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება, რომელიც ღრმა კვალი დატოვა ყო-ღა მის მიერ შამოშკებულ საქმეში. იგი ერის სამსახურის მაგალითს


აძლედა ადამიანებს. შარბლეუბრედა იდგა 9 აპრილის დღეს. ყველაფერ ასუ-რება ყოფნას სადაც საქართველოს უჭირდა. მისი სახელი დაუვიწყარი იქნე-ბა საქართველოს მემკვიდრეობისათვის.

აუტორიზაცია



1989 წლის 25 დეკემბერს პრესტეზიზიდან საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ და წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ თბილისში ჩაატარა სახალხო მანიფესტაცია რომელზეც ყურადღება გამახვილდა უმნიშვნელოვანეს ეროვნულ-პოლიტიკურ საკითხებზე. სიტყვებით გამოვიდნენ: ირაკლი წერეთელი, გია ანდუღაძე, გია თვალავაძე /დამოუკიდებლობის პარტია/, თემურ ქორიძე /საქართველოს ჰელსინკის კავშირი /, ზვიად გამსახურდია /ჰელსინკის კავშირი/ და რუსლან მიქაბერიძე.

მიტინგის მონაწილეთა დიდმა რაოდენობამ დასტოვა კონკავშირისა და პარტიის რიგები. მათ თავიანთი კონკავშირისა და პარტიის ბილეთები ჩაყარეს სპეციალურად დაწესებული უზარმაზარ ყუთში, რომელსაც ამჟღავნებდა წარწერა: ისტორიის სანაგვე. მიტინგის დასასრულს დემონსტრანტები მსვლელობით დაიძრნენ ლენინის მოედნისაკენ, სადაც პრეზიდენტის დიად ბილადს მიართვეს "სამშობაო საჩუქარი" - კონკავშირისა და პარტიის ბილეთებით დახუთმული ისტორიის სანაგვე. დასასრულს მიუწყო მისი საზიარო აუტორიზაცია.



რიჩარდ პაიკსი სსრკ-ს "ახალი აზროვნების" შესახებ.

ჩვენ ვცხოვრობთ სახეთა შექმნის საუკუნეში, როცა სულ უფრო და უფრო ძნელია განასხვავო გარე სახე ნამდვილი არსისგან. საბჭოთა ლიდერები შინა პოლიტიკის გატარებისას მთლიანად იყენებენ ასეთი სიტუაციის უპირატესობას. ისინი ლაპარაკობენ ერთს და აკეთებენ მეორეს. ხალხის დიდ უმრავლესობას, რომელსაც არ ძალუძს გაიგოს სად არის სიმართლე, სჯერა მათი კეთილი ზრახვებისა.

მას შემდეგ, რაც სახელმწიფოს სათავეში მოვიდა მიხეილ გორბაჩოვი, სსრკ გახდა ნაკლებად აგრესიული თავის გეოპოლიტიკურ განცხადებებში, იმის გამო, რომ სსრკ საჭიროებს უცხოეთის დახმარებას კრიზისში მყოფი ეკონომიკის გადასარჩენად, გორბაჩოვმა შექმნა სახე ისეთი ქვეყნისა, რომელიც მოითხოვს მშვიდობას და სამხედრო ხარჯების შემცირებას.

ამგვარი სიმბოლური განცხადებებითა და წინასწარ განსაზღვრული ნაბიჯებით, მან მიაღწია სასურველ ეფექტს, რის გამოც გაძნელდა სსრკ-ს, როგორც ჰეგემონური მტრული იმპერიის სახით აღქმა. ამას კი შედეგად მოჰყვა საზღვარგარეთული სესხის გაზრდა და დასავლეთის მისწრაფება სამხედრო ხარჯების შემცირებისაკენ.

რამდენად შეესაბამება სინამდვილეს სსრკ-ს მიერ საგარეო პოლიტიკაში

გატარებული ცვლილებები? აიღეთ თუნდაც თავდაცვის ხარჯები: მოსკოვმა ბოლოს და ბოლოს განაცხადა, რომ თავისი სამხედრო ბიუჯეტი შეადგენს 77 მილიარდ მანეთს. ეს რიცხვი არის იმის ნახევარი, რაც რეალურად მიაჩნიათ ამერიკელ ექსპერტებს.

ვაშინგტონის შეფასებით საბჭოთა სამხედრო ხარჯები განაგრძობს ზრდას წელიწადში 3%ის ოდენობით, თუმცა შეიარაღების შემცირების ნიშნები შეიმჩნევა შეიარაღების ზოგიერთ სახეობაში. არმიის მოდერნიზაცია გარდაქმნის პერიოდში გრძელდება ისეთივე ტემპებით, როგორც "უძრავი ხანაში".

კრემლი ხშირად უსვამს ხაზს თავის სურვილს, ახლო აღმოსავლეთში კონფრონტაცია შესცვალოს მოლაპარაკებითა და თუმცა ძლიერდება ხმები სირიასთან ურთიერთობის გაუარესების შესახებ, დამასკომ მაინც მიიღო განმანადგურებელი მიზ-29, და ზებერეთი ბომბდამშენი სპ-24 (მოსკოვმა ასევე შესთავაზა ლიბანს სუ-ს ტიპის თვითმფრინავები).

სარგებლობს რა იმით, რომ სირიას აქვს სსრკ-ს დიდი ვალი, რაც შეადგენს 15 მილიარდ დოლარს, კრემლი განაგრძებს დიდ საზღვაო-სამხედრო ობიექტს ტარტუსში. ეს პორტი, რომელიც მთლიანად საბჭოთა სამხედროების კონტროლის ქვეშაა, მოემსახურება საბრძოლო ბომაღებებსა და წყალქვეშა ნავებს.

საბჭოთა კავშირი ჩრდილოეთ კორეას აწოდებს მიზ-23 მარცის თვითმფრინავებს და როგორც იტყობინებიან მალე გაიგავნება უფრო დახვეწილი მიზ-29 ტიპის თვითმფრინავი. ვიეტნამმა, ლოსმა და კამბოჯამ 1987 წლიდან სსრკ-სგან მიიღეს 2 მილიარდი მანეთის დახმარება. მოსკოვმა გაუთრმაგა ეკონომიკური დახმარება ვიეტნამს და როგორც იტყობინებიან 1987 წელთან შედარებით გაუთრმაგა დახმარება კამბოჯასაც, ვიეტნამმა მოსკოვს მისცა სამხედრო-საზღვაო ბაზის მოდერნიზების საშუალება კამრანის ყურეში.

მიუხედავად იმისა, რომ სსრკ-მ გამოიყვანა თავისი ჯარები ავღანეთიდან, მან გაუზარდა ეკონომიკური და სამხედრო დახმარება ქაბულის ხელისუფლებას. არ ჩანს ნიშანწყალი იმისა, რომ საბჭოთა კავშირი აპირებს შეანელოს თავისი კონტროლი ამ ქვეყანაზე. ნიკარაგუელმა სანდინისტებმა დემოკრატიული არჩევნების ჩატარების გადაწყვეტილებით თავიდან აიცილეს კატასტროფა, ამასთან მათ განცხადებებში ნათლად ჩანს, რომ ისინი არ დათმობენ ხელისუფლებას (და საესკიბთ ცხადია, რომ "კონტრები" განწირულნი არიან). მიუხედავად გორბაჩოვის რწმუნებისა, რომ საბჭოთა დახმარება არ იქნება იქ გაზავნილი, საბჭოთა ბლოკისა და კუბის სამხედრო მხარდაჭერა ძველებურად გრძელდება.

ანგოლაში ჟ.საკიმიბი უკან იხევს, სამხრ. აფრიკის რესპუბლიკას გამოჰყავს თავისი ჯარები, მაგრამ საბჭოთა დახმარება მაინც გრძელდება.

არსებობს, სულ მცირე, ორი განსხვავება საბჭოთა კავშირის განცხადებებსა და მოქმედებებს შორის. თანახმად პირველისა, მოსკოვი მიმდინარე პერიოდს განიხილავს როგორც ამოსუნთქვის საშუალებას, რათა აღადგინოს თავისი დასუსტებული ეკონომიკა და ხალხის მორალური სული გლობალური მასშტაბით იერიშის განახლებაში. მეორეს მხრივ, საბჭოთა ხელმძღვანელობა იმედნადაა დამოკიდებული თავის გენერლებზე, განსაკუთრებით ქვეყანაში მზარდი დამაბულობის პირობებში, რომ მათ არ შეუძლიათ თავს ნება მისცენ თავიანთ საწინააღმდეგოდ განაწყო ისინი შეიარაღებისა და საზღვარგარეთთან სამხედრო ვალდებულებების შემცირებით.


რომელი განმარტებაც არ უნდა: იყოს სწორი, ჩვენ ჯერ კიდევ შორს, ვართ საერთაშორისო სტაბილიზაციისა და მშვიდობისაგან, რაც მსოფლიო საზოგადოების დიდ ნაწილს სურს დაიჯეროს.

კრემლის განცხადება მისი მშვიდობიანი ზრახვების შესახებ და დასავლეთის დასაწყნარებლად ძირფესვიანად გათვლილი ნაბიჯები, არ ცვლის იმ გარემოებას, რომ ქვეყნის შიგნით და გარეთ საბჭოთა სამხედრო აქტიურობა გორბაჩოვის ხანაში იგივე ხასიათს ატარებს, რასაც ბრეჟნევის დროს.

"ახალი აზროვნება" საერთაშორისო ურთიერთობებში, გარეგნული ფორმით უფრო გამოვლინდა, ვიდრე მისი არსით. მართლაც, ახალმა პოლიტიკამ საშუალება მისცა მოსკოვს უფრო ეფექტურად გაერვდეს თავისი ზეგავლენა საზღვარგარეთზე, ვიდრე ამას ახერხებდა აშკარად მკაცრი პოლიტიკური კურსის პირობებში, პარალელურად ეფექტს ახდენს რეგიონალურ კონფლიქტებში გორბაჩოვის მშვიდობიანი ჩარევა სსრკ-ს ინტერესების დასაცავად.

ამერიკელი ისტორიკოსი და სოვეტოლოგი
რიჩარდ პაიკსი

INTERNATIONAL HERALD TRIBUNE
PARIS



რეპრეზენტატიული

სადა უღოცავს რეპრეზენტატიული ბაღის წ. ჩაუშვს კაცთმოდული კომუნისტური დიქტატორული რეჟიმის დახმარებას, უსურველს პარმატებებს დემოკრატიული ჰუმანური სახელმწიფოს შექმნის გზაზე. ამასთან ერთად ღრმა საჩივრის უცხადებს იმ აურაცხელი მსხვერპლის გამო, რომელიც მას ამ რეჟიმმა მიაცენა.

მასაღებს რეპრეზენტატიული მომხდარი ჰეროიკული და არავე დროს ჭაგოკული მოვლენების შესახებ იხილავთ გაზეთ "დროების" შენდებ ნომერში.

გაზეთ "დროების" რედაქცია თანამოაზრეებს გიწვევთ სათანამშრომლოდ.
თქვენ შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონებით:

37-51-36 კ. ჩოგოვაძე /საღვ./ 99-37-52 ვ. ქუთელია /საღვ./
39-09-40 გ. შავლაშვილი /საღვ./

გაზეთის ნომერი მოამზადეს: კობე ჩოგოვაძე
ვაჟა ქუთელიამ და გია შავლაშვილმა